№ 2

სამშაბათი, 4 იანვარი 1894

1877—1894

# ივერია

№ 2

სამშაბათი, 4 ინავარი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად: უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

**„ი ვ ე რ ი ა“**

გამოვა 1894 წელსაც

**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტ ფ ი ლ ი ს ი,

**„ივერიის“ რედაქციას**

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА“.

**,,მზა-მეტყველება“**

თხზ. ანტონ კათალიკოზისა

იყიდება „წერა-კითხვის საზოგადო-[ებ]ის“ და ,,ქართველთა ამხანაგო-[ბ]ის“ წიგნის მაღაზიებში.

ფასი ორი მანათი და ათი შაური.

(5—2)

ქართული თეატრი

სამშაბათს, 4 იანვარს, 1894 წ.

არტისტი

**ვლ. ალექსი-მესხიშვილის**

მონაწილეობით

ქართულის თეატრის სუფლიორის და სცენარიუსის საბენეფისოდ ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

**ქალის ტანჯვა**

ანუ

ორ ცეცხლ შუა

დრამა 3 მოქ. ემ. ჟირარდენისა, თარგ. თავ. ივ. მაჩაბლის მიერ.

II

**ქირით მონასტერი**

ფარსი 3 მოქ. გადმოკ. თ. სახოკიას მიერ.

მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი

ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

დასაწყისი 7 1/2 საათზედ.

რადგან დეკემბრის 19-ს დანიშნული საზოგადო კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა არ შესდგა, საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ ხსენებული საზოგადო კრება, თანახმად საზოგადოების წესდების 15 §-ისა, ხელმეორედ დანიშნულია 9 იანვარს, 1894 წლისას, დილის 10 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში.

(6—2)

**თბილისის მუსიკალური კრუჟოკი**

სამშაბათს, 4 იანვარს, 1894 წ.

მომღერალ-ბარიტონი

კ. ს. ცხომელიძე

გამართავს

საოპერო და მუსიკალურ საღამოს

რუსულსა და ქართულს ენაზედ

I

**მაკვალი**

სცენერი და დუეტი მეორე მოქმედებიდამ, მუსიკა რუბინშტეინისა, მოთამაშენი: ე. ფ. პეტროვისა და კ. ს. ცხომელიძე.

II

**სცრადელლა**

კომიკური სცენები მეორე მოქმედ., მუსიკა ფლოტოვისა, მოთამაშენი: ა. გ. სანინისა და კ. ს. ცხომელიძე.

III

**ევგენი ონეგინი**

მოთამაშენი ნ. პ. ენი, კ. ს. ცხომელიძე და ბატ. ავალიანი.

IV

დიდი დივერტისმენტი

მონაწილეობას მიიღებენ:

ე. ფ. პეტროვისა, ე. ვ. სევანოვისა, ა. გ. სანინისა, ნ. პ. ენნი, თავ. აკაკი წერეთელი, ვ. ა. აბაშიძე, ... ი. ალექსეევი-მესხიევი, აწყურელი, ავალიანი, ქართული ხორო ბ-ნ რატილის ლოტბარობით და მოყვარეთა ორკესტრი ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით.

დ ა ს ა ს რ უ ლ

**ლ ე კ უ რ ი**

საღამოს შემდეგ გამართული იქნება

**საერთო ცეკვა**

დასაწყისი 8 საათზედ

## ტფილისი, 4 იანვარს

—

ახალწლის წინა დღეებში ქალაქის საბჭოს ოთხი კრება ჰქონდა ზედიზედ და გაათავა განხილვა შემოსავალ-გასავლის ხარჯთ აღრიცხვისა წლევანდელისთვის. დაწვრილებითი ანგარიში აქ კრებისა ვრცელი დ მოსაწყენი იქმნებოდა ჩვენის მკითხველებისთვის და ამიტომაც ასეთს ანგარიშს ვერ მივეცით ადგილი ჩვენს გაზეთში. ხოლო არ შეგვიძლიან არ გავუზიაროთ მკითხველებს გარდაწყვეტილება საბჭოსი სამის საყურადღებო საქმის შესახებ.

პირველი გახლავთ ბედ-ილბალი ,,ნაძალადევის“ მოსახლეკარეთა, მეორე—გაიხსნას თუ არა კიდევ სამი უსასყიდლო სასწავლებელი ღარიბთათვის და მესამე—როგორ ასცილდეს ქალაქელებს გაჭირვება, რომელშიაც ისინი იმყოფებიან ქუჩების დაგვის დროს.

„ნაძალადევის“ მოსახლეკარეთა საქმე აღძრა თავმჯდომარემ ტყის გაშენების კომისიისამ ხმ. როტინოვმა, რომელმაც მოახსენა საბჭოს, რომ აგრედ წოდებულ „ნახალოვკაში“ ბევრს აუშენებია ქ-ახი პიროქსილინის საწყობს ახლო და, რადგან კანონის ძალით, ამისთანა საწყობების ოთხას საჟენის უახლოეს არ შეიძლება სახლების შენება და ამიტომ უეჭველია მთავრობა დაუნგრევს ამ შენობებს, ამიტომ კარგი იქმნება საბჭომ ღონისძიება რამ მიიღოს, შეატყობინოს ხალხს ასეთი კანონი და დაუშალოს პიროქსელინის საწყობის სიახლოვეს დადგმა სახლებისა, რომ ამით ტყუილ ხარჯს გადაარჩინოს ღარიბი ხალხიო.

ხმოსანმა არღუთაშვილმა - მხარგრძელმა თავადმა ალექსანდრე მიხეილის ძემ ისარგებლა ხმ. როტინოვის წინადადებით და ყურადღება საბჭოსი მიაქცია იმ გარემოებას, რომ „ნაძალადევის“ მოსახლეკარეთა შორის ურევია მრავალი ღარიბ-ღატაკი ხალხი და საბჭოს მხრივ დიდი გულცივობა იქმნება, თითო-ოროლა შეძლებულისა გამო, მაგოდენა ხალხს მიადგეს პოლიციით კარს და განაძეოს, დააწიოკოს და დაუნგრიოს შენობები, აქაო და მიწა ქალაქისააო. თავად არღუთაშვილ-მხარგრძელის აზრით, საბჭომ უნდა ინაღვლოს დასახლებულთათვის, იღონოს რამ ღონე მათთან კეთილგანწყობილების ჩამოსაგდებად და ისე მოაწყოს საქმე, რომ არც ძალად-დასახლებულებმა იზარალონ, არც ქალაქმა და აღარც შემდეგში მოჰხდეს ისე, რომ გაჭირვებულ ხალხს სატაცებლადა ჰქონდეს გამხდარი სასახლე ადგილებიო.

მოადგილემ ქალაქის მოურავისამ პ. ა. იზმაილოვმა აუხსნა საბჭოს მიზეზი იმისი, რაც აიძულებს ხალხს საქალაქო მიწის ტაცებას. ბ-ნ იზმაილოვის აზრით, ხალხმა მიწების ტაცებას მიჰყო ხელი მას შემდეგ, რაც ქალაქის საბჭომ დაადგინა, რომ ქალაქის მამულები არ უნდა გავყიდოთ და იჯარითაც უვაჭროდ არ გავცეთო. რამდენი დავნიშნეთ ვაჭრობა, იმდენი იჯარის ფულებმა საჟენ მიწაზედ თითქმის მანეთამდე აიწია წლიურ და ამისთანა იჯარა ყოვლად შეუფერებელია იმისთანა განაპირებულ ადგილებზედო. ბ-ნმა იზმაილოვმა ურჩია საბჭოს არჩევა განსაკუთრებულის კომისიისა, რომელმაც უნდა გამოიკვლიოს ადგილი „ნაძალადევი“ და აღმოაჩინოს ისეთი ღონისძიება, რომ ხალხს უვაჭროდ, წინადვე გადაწყვეტილ იჯარის პირიან ფასად ურიგდებოდეს ხოლმე მიწებიო.

საბჭომ მიიღო ეს წინადადება, რომელიც, თუ მკითხველს ახსოვს, თითქმის სიტყვა-სიტყვითა ჰგავს ჩვენს აზრს, გამოთქმულს გაზეთ ,,ივერიაში“ შარშან ზაფხულს, როდესაც პოლიცია და ქალაქის გამგეობა მიესია ნაძალადეველთ და უნგრევდა სახლებს.

ჩვენ ამ საყურადღებო საგანს კვლავაც დავუბრუნდებით და ეხლა-კი მეორე საყურადღებო საგანზედ გადავიდეთ, ე. ი. სამის ახალის სასწავლებლის გახსნაზედ საბჭომ, ხმოსან ა. ს. ბაბოვის წინადადების თანახმად, დაადგინა ხარჯთ-აღრიცხვაში შეიტანოს ოთხას თუმნამდე ფული, რათა ამა წლის პირველ სექტემბრიდგანვე დაარსდეს სამი ახალი უსასყიდლო სასწავლებელი ღარიბთათვის: ერთი რუსის ბავშვებისათვის, ერთი ქართველებისათვის და ერთიც სომხებისთვის. ამ სახით წლევანდლიდგან საქალაქო სასწავლებლების რიცხვი შვიდიდამ ათამდე ავა. რაღა თქმა უნდა, რომ სასურველია ამას იქით საქალაქო სასწავლებლებთა რიცხვი განუწყვეტელ მატებაში ჩავარდეს.

მესამე საყურადღებო საგანი გახლდათ ისა, რომ დღეის იქით ტფილისის ქუჩებში აღარ იყოს კორიანტელი მტვრისა, რომელიც დადგება ხოლმე ყოველ დაგვის დროს. საბჭომ, ხმოსან ავთანდილოვის სარჩიელის თანახმად, დაადგინა გადასდოს წელიწადში ხუთასი თუმანი იმისათვის, რომ ჯერ მოირწყას ხოლმე ქუჩები და შემდეგ დაიგავოს, რათა ამ სახით მტვერი აღარ დადგეს და არ აფუჭებდეს ბაზარში ხორაგეულს და ქუჩებში არ უხუთავდეს სულს მოსიარულე ხალხსა.

მოქალაქე

## ახალი ამბავი

—

*** კვირას, 2 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა გაჰმართა საიუბილეო წარმოდგენა ქართულის თეატრის დაფუძნების სახსოვრად. წარმოდგენილ იქმნა ოთხ-მოქმედებიანი კომედია თავ. გ. ერისთავისა ,,გაყრა“, პირველი მოქმედება ,,ქმარი ხუთის ცოლისა“-დგან და ვოდევილი ,,რაც არ მერგება, არ შემერგება“. წარმოდგენამდე გამართული

## ფელეტონი

—

**მნათობი აზიისა**

(მეორე ხანა ედვინ არნოლდის პოემისა)

...როს თვრამეტი წელიწადი
...უსრულდა სიდარტჰასა,
...თ მაისის ქორფა ვარდი,
...შვენებდა ქვეყანასა.
...მა მისმა ვაჟს მშვენიერს
...ი კოშკი აუშენა,
...მელთ ქებას და სიმდიდრეს
... გამოსთქვამს კაცის ენა...
...ი იყო მეტად თბილი,
...ო-ვერცხლით მოკაზმული,
...რისათვის მოწყობილი,
თვალ-უწვდად ზე აზიდული;
მეორე-კი ზაფხულისა
სიცხისაგან დამფარველი,
მავალითი ხელობისა,
საარკო, საკვირველი,
და მესამე—ბროლისაგან—
გაზაფხულზედ სამყოფელად,
მოგონილი კაცისაგან
მომავალის სანატრელად!..
სამივ კოშკსა უცხო, ვრცელი
გალავანი ერტყა გარე
და წალკოტი სანატრელი
ამშვენებდა მონარნარე.
დღე და ღამე ბულბულები
ჰიკჰიკობდნენ და ჰგალობდნენ,
მზე და მთვარე, ვარსკვლავები
მაღლსა და ეშხს თავს აფრქევდნენ.
მაგრამ ესე მეფის ძესა
ვერ უტკბობდა სულსა და გულს,
კვლავ ჰხედავდნენ მჭმუნვარესა
ფიქრისგან დამძიმებულს...
მაშინ მეფემ ბრძენთა კრებას
მოუწოდა სარჩეველად,
ჰკითხავდა მათ საშველებას
შვილის ხსნისას, საშველებლად...
სთქვა მეფემან: „თუმცა მჯერა
მკითხავისა სიტყვებიო:
ჩემის შვილის ბედის წერა
და იმისი გრძნობებიო
ქვეყნიერზე მეტი არი,
დიდი გააჩნს მომავალი,
მაგრამა მსურს მზის სადარი
და ძვირფასი ქვეყნის თვალი
რომ იცნობდეს თავის ერსა,
სიხარულით იტკბობდეს გულს
და ბუნებას მშვენიერსა
უცხოვლებდეს წრფელ სიყვარულს“..
მოახსენეს: «ნორჩსა გრძნობას,
ლტოლვილებას მისას ძლიერს,
ხშირად ჯაჭვიც ვერ შეჰბორკავს
ქედ-უდრეკს და თვის ნებიერს,
მაგრამ ნაზი, ტურფა ქალი
და იმისი თვალებიო
გამსჭვალავენ მას, ვით ალი,
ვით სატანას ძალებიო“...
მოუწოდოთ ყველა ლამაზს,
ამ გვარია ბუნებაო,—
რა გადაჰკრავს კეკლუცსა თვალს
შეეცვლება გუნებაო»!..
მოუწოდეს ყოველის მხრით
ლამაზსა და კეკლუც ქალებს,
მათ შესცქეროდნენ გულის ძგერით,
აშტერებდნენ ტრფობით თვალებს.
მაგრამა-კი მეფის შვილი,
როს საჩუქრებს არიგებდა,
იყო ისევ დაღვრემილი
და ერთს ხმასაც არ იღებდა.
ამ დროს შეხვდა მეფის ასულს
აღვსებულსა ეშხით, ტრფობით,
შეადარა ცით გარდმოსულს,
განიმსჭვალა თანაგრძნობით;
მიესალმნენ ერთმანერთსა,
ჩააჩერდეს თვალში თვალი,
მოეკიდათ, ვით აბედსა,
სიყვარულის მწვავი ალი!..
მეფის ძემან ზურმუხტისა
შემოიხსნა ყელ-საბელი,
ალტაცებით ნარნარისა
მით შეამკო ნაზი წელი,
და უთხრა მას; „დიდებულო,
ნაზო, უცხო, ვით მთვარეო,
ჩვენის ქვეყნის სიქადულო,

იყო ცოცხალი სურათი, რომელშიაც გამოყვანილნი იყვნენ თითქმის ყველა გმირნი. საზოგადოება აღტაცებაში მოვიდა ამ მშვენიერის სანახავით და ხანგრძლივის ტაშის-კვრით რამდენჯერმე განამეორებინა. დიდად ასიამოვნეს საზოგადოება ქ-ნმა საფაროვისამ ვოდევილში და ბ-ნმა აბაშიძემ, რომელიც ,,გაყრა''-ში სომხის როლსა თამაშობდა. საზოგადოება საკმაოდ დაესწრო.

*** დღეს, 4 იანვარს, ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში მომღერალი ბარიტონი კ. ს. ცხომელიძე ჰმართავს საოპერო და სამუსიკო საღამოს ქართულსა და რუსულს ენაზედ. საღამო განსაკუთრებით იმითია საყურადღებო, რომ მონაწილეობას იღებენ თ. აკაკი წერეთელი, ვ. აბაშიძე, აწყურელი, ალექსი-მესხიშვილი, ქართული ხორო რატილისა და სხვანი. რუსულად შესრულებული იქნება რამდენიმე სცენა ოპერებიდგან: ,,მაკკავეისა'', ,,სტრადელასა''დ ევგენი ონეგინიდგან''. დასასრულ გაიმართება ლეკური და საერთო ცეკვა.

*** კვირას, 2 იანვარს, ტფილისის სამუსიკო კრუჟოკში გაჰმართეს აზიური საღამო. ჯერ წარმოდგენილ იქმნა რუსულს ენაზედ ერთ-მოქმედებიანი კომედია „დუქანში გატარებული ღამე“, ჩვენის ცხოვრებიდგან აღებული. შემდეგ ცეკვა გაიმართა, რომელმაც დილის ოთხს საათამდე გასტანა. მთელი დარბაზი კრუჟოკისა საუცხოოდ იყო მოწყობილი აზიურს გემოვნებაზედ. ერთს ოთახში ოსმალურად ჩაცმული ქალი ყავასა ჰყიდდა, მეორეგან ქართველი ქალი ყვავილებს ვაჭრობდა, მესამე ოთახში უბრალო სოფლის დუქანი გაემართად, ფერადის საქონლით აჭრელებული, მეოთხე ოთახში ხალიჩებზედ ოქროთი მოვარაყებული ქართული ურემი იდგა და ზედ იდო გაბერილი რუმბი, ვერცხლის ვარაყ-გადაკრული.

საღამოს დიდ ძალი საზოგადოება დაესწრო ასე, რომ ტევა არ იყო კრუჟოკის უშველებელს სადგომში. ზოგიერთნი სტუმარნი ჩაცმულნი იყვნენ სხვა და სხვა აზიის ერთა ტანისამოსში. ჯილდო ჰქონდათ დაპირებული იმათ, ვისი ტანისამოსიც უფრო ლამაზი და მოხდენილი იქნებოდა. დაარიგეს კიდეც ბოლოს საჩუქრები.

*** როგორც შევიტყეთ, ტფილისში ჩამოსული და ,,სევერნი ნომრებში'' ჩამომხდარი ნეჩაევი ვაჭარი ყოფილა და არა უწმინდესის სინოდის წარმომადგენელი კაცი სემინარიის საქმეთა სარევიზიოდ.

*** ჩვენ მოგვივიდა თელავის ქართველთა შორის შეკრეფილი სამი თუმანი. თელაველები გვთხოვენ, რომ ნახევარი ამ ფულისა განსვენებულ ალექსსანდრე ყაზბეგის გვირგვინისათვის დაიხარჯოს და ნახევარი იმის ძეგლის ასაგებ ფონდში ჩაირიცხოს.

*** წლიური კრება ,,ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა'' დანიშნულია 9 იანვრისათვის.

*** ამ დღეებში კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოს განყოფილება ერივანში მიდის ზოგიერთ საქმის განსახილველად სამხედრო დროის კანონების თანახმად. ბრალმდებლად იქნება სამხედრო ბრალმდებელი ბ-ნი შერბოვიჩი-ვეჩორი.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურებზედ, სადაც-კი საქონელს იღებდნენ და ჰგზავნიდნენ, დღემდეის წესი იყო, რომ ერთხელვე დანიშნულის ფასით საქონელს სადგურიდამ ურემზედ, ან ურმიდამ სადგურზედ ისევ აქაური მუშები გადაიტანდნენ და გადმოიტანდნენ ხოლმე. ეს წესი ეხლა მოისპო რკინის გზის მმართველის, ბ-ნ ფრიდეს განკარგულებით, რომელმაც სწორედ ახალ წლის წინა დღით ბრძანება გასცა, რომ ამ ახალის წლიდგან მოისპოს საქონლის სადგურიდგან ურემზედ და ურმიდგან სადგურზედ გადატანისა რკინის გზის მუშების მიერო. ამას იქით თვით საქონლის პატრონმა უნდა იზრუნოს ამისათვის, მაგრამ ისე-კი, რომ სადგურის მუშებმა არ იკისრონ შრომაო. რკინის გზის მოხელე მხოლოდ მოვალეა უჩვენოს საქონლის პატრონს ბინა, სადაც უნდა დაიწყოს საქონელი თვით პატრონის ხარჯითაო.

*** 26 დეკემბერს, ღამის 11 საათზედ ტფილისში, ვორანცოვის ქუჩაზედ, ცეცხლი წაეკიდა აჯი-მამა-იბრაჰიმ-ოღლის სახლს; ცეცხლი მალე ჩააქრეს. სახლი დაზღვეული ყოფილა რუსეთის დამზღვევ საზოგადოებაში; სახლის პატრონის სიტყვით ზარალი 5000 მანათამდეა.

*** განჯა: აქაურს სადგურზედ მყოფთ რკინის გზის მოსამსახურეთაც განიზრახეს თავიანთის გონების განვითარება. წიგნების კითხვა, როგორც სჩანს, აქაურ ქართველ მოსამსახურეთა შორის უფრო გავრცელებული, ვიდრე სხვა სადგურებზედ.

კარგა ხანია მას აქედ, რაც აქაურ რკინის გზის დეპოს წიგნთ-საცავი დააარსეს, მაგრამ იგი საკმარისად ვერ აკმაყოფილებდა მოსამსახურეთა მოთხოვნილებას, ჯერ ერთი იმ მიზეზით, რომ წიგნები არა ჰქონდა ამ წიგნთ-საცავს საკმაო, მეორეც იმიტომ, რომ თურმე მმართველი ვერ გამოადგა კარგი. საქმის რიგიანად მოსაწყობად აქაურ ქართველებმა გაჰმართეს ხელის მოწერა საზოგადო სამკითხველოს დასაარსებლად. მსურველი საკმაოდ ბლომად აღმოჩნდა და შობის დღესასწაულებში სამასამდე მეტი მანეთი მოაგროვეს ამ საქმისათვის. ნება-რთვაც მიიღეს, ვისგანაც ჯერ იყო, ამ ხანად ერთს ოთახში მოათავსეს ეს სამკითხველო, ხოლო შემდეგში რკინის გზა ჰპირდება ცალკე სახლის დათმობას.

სამკითხველოსათვის გამოწერილია ყველა ქართული ჟურნალ გაზეთი, ერთი სომხური და ოც-და-ოთხამდე რუსული. ყველა დიდს თანაგრძნობას უცხადებს ამ საქმეს, განსაკუთრებით ყურადღებას-კი აქცევს მეშვიდე განყოფილების უფროსი ბ-ნი სტრელკოვი, რომელმაც თავისი წიგნთ-საცავი შესწირა აქაურს საზოგადო სამკითხველოს.

ასე და ამ გვარად ახალმა წელიწადმა შეგვმატა ახალი სამკითხველო, სადაც ყველა ქართველს შეგვეძლება თვალ-ყური ვადევნოთ ჩვენს დროგამოშვებით მწერლობას და ღმერთმა ინებოს, რომ ამ საქმემ სასახელო ფერი და შნო დასდოს ჩვენს აქაურს ამხანაგობას.

*** ახალ-ბაიაზეთი: წარსულ დეკემბრის 26-ს ბ-ნმა დავით იანქოშვილმა პანაშვიდი გადაიხადა განსვენებულ ალექსანდრე ყაზბეგის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს მთელი აქ მყოფი მცხოვრებელი ქართველობა დაესწრო.

## ხევი

(ალექსანდრე მიხეილის ძის ყაზბეგის შესახებ).

დღეს საქართველო სტირის თავის საყვარელის ბელეტრისტის ა. მ. ყაზბეგის დაკარგვას. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია ორიოდე სიტყვა მთიდგანაც მოგაწოდოთ იმის შესახებ.

განსვენებული, მეტად მოსიყვარულე იყო ჩვენის მთის ხალხისა, ჯერ ისევ სიყმაწვილის დროს, როდესაც სწავლა დაამთავრა, ცხვრის ფარა შეჰყარა და ასე დაუახლოვდა ხევ-მთიულეთის მეცხვარეებსა, დაიწყო ცხვრით მთა-ბარობა ასე, რომ საზამთროდ ჩაჩნისკენ მიუდიოდა ცხვარი, ზაფხულში-კი ინახავდა თავის მთაში. არ იფიქროთ, რომ სანდრო ისე მემცხვარეობდა, როგორც ალა-კაცი, თავის მოჯამაგირეებთან იყო გართული ყოველთვის ჯაფისა და წვალების ამტანი. ქონებაც ბევრი ჰქონდა, მაგრამ არა თავისთვის, ყველი ძმა ბიჭებისთვის და მწყემს ამხანაგებისთვის თანასწორად. ვერ დასაქმავდა ვერავის, წყალი მომიტანეთო, თითონ წამოხტებოდა და სხვებსაც დაალევინებდა და თითონაც დალევდა. ცხვრებშიაც-კი, სადაც მეცხვარეები ეხვივნენ, თითონ იყო მსახური თავის-თავისა.

ორ ლულიანი რუსული თოფი ჰქონდა, შეიგდებდა მხარზედ, დაიხურავდა თუშურს შავს ნაბდის ქუდს, გადაიკიდებდა თოფს და გაუძღვებოდა ცხვრის ფარას წინ. როდესაც საძოვარზედ თხებს დასწველდნენ, მწყემსებთან ერთად ჩაახლიდენ ერთს ჯამში მჭადს და შეექცეოდენ ერთად. ასე იქცეოდა ის, ვინც დედის ერთა იყო, აღზრდილი სიყრმითვე სიმდიდრესა და ფუფუნებაში. ალ. ყაზბეგს თუმცა ჯერ მწერლობა არც-კი დაეწყო, მაგრამ დიდი სიყვარული-კი ჰქონდა მწერლობისა. გატაცებით უყვარდა ხალხური ლექსები, თამაშობა, სიმღერები და ხალხთანვე დროს გატარება, უყვარდა მდაბიო ხალხი და ყოველივე მწირი და ღარიბი. ვერ ურიგდებოდა ხალხის მყვლეფავსა და მჩაგვრელს მოხელეებს.

განსვენებული ალექსანდრე მოწამე იყო იმ დროისა, როდესაც კანონიერს თუ უკანონო მოთხოვნილებას ზოგიერთნი მოხელენი მათრახის ძალით ასრულებენ. თვით განსვენებულმა ერთი თავისი კედელი მუშებს დაარღვევინა და მოხუცს კაცებს ასე უთხრა: ,,გახსოვსთ ამ კედლის აგებაო''. ,,გვახსოვსო'' უპასუხეს უკანასკნელთ. ,,ეს კედელი უსასყიდლოდ არის აგებული და მე მინდა სასყიდლით დავარღვიოვო, მათრახით პურის ჭამა არ მინდაო.

ჰღაღადებდა და ჰგოდებდა ერთობ თავის სამშობლო ქვეყნის ბედ-იღბალის გამო, თავ-გადადებით უყვარდა თავისი სამშობლო ქვეყანა. დააკვირდით თვით ლექსს განსვენებულისას

„ჩემო ქვეყანავ, ხრიაკო, მაღალ და მრავალ მთიანო!
შენსა კიდეთა ბეჩავნი უღელის ხარით ხვნიანო,—
ვინც იმათ ძალას მიაყრის, ნაღველიმც დაანთხიაო“.
„შენ, შემოქმედო, შენ გეაჯ, აჰყვავდეს ჩემი მხარეო!
აწ უძლურს უთხარ—აღზდეგი... დასტკბი და გაიხარეო,
ძრიელს დაჰყივლე, „ბეჩავი“ კმა ნულარ გაამწარეო,
თავიანთ სარჩო საბადი თითონვე მოახმარეო,
ოღონდაც ჩვენი ქვეყანა კეთილზედ დაამყარეო—
და მაშინ თუნდა იმ წუთში გულს მიწა მომაყარეო!
ძლიერო! ბეჩავს ნუ სტანჯავ, სისხლი საძ... შეუხურდება,
გულს შეგუბულს ზღვად მღელავს, ფიქრები მოუცურდება,
ვაჟკაცი გაბრაზებული, თვით ზეცას აუხირდება და სხ.

ჭეშმარიტად, რომ განსვენებული მტერი იყო და მოჩხუბარი უსამართლობისა, უწესოებისა, ძარცვა-გლეჯისა და მძლავრობისა. მისი გრძნობა და გონება ვერ იტანდა უწესოებას მოძმეთა შორის და მით გახდა მსხვერპლიც სამშობლოსი. მე თითონა ვარ მოწმე ერთის ასეთის მაგალითისა: 1889 წელს, მკათათვეში, ალექსანდრე აქ ყაზბეგში, (სტეფანწმიდას) იმყოფებოდა და სწორედ ისეთს დროს გამოიარა ნაბად მოსილმა ფოსტის სადგურის წინ, როდესაც ფოსტაში მოსამსახურე მოხელეები ძაღლდატანებით მიერეკებოდნენ იქ დროებით დაბინავებულ რუსეთის ბოშებს. ჰკითხა რადა სტანჯავთ მაგ უბედურებსო? მოხელეებმა უპასუხეს, გენერალი არის აქ საზოგადო ოთახში და იმის ბრძანებით ვერეკებით აქედამაო''. ალექსანდრემ უთხრა: ,,წადით და მოახსენეთ მაგ თქვენს გენერალს, რომ ესენი ჩემს მამულზედ სდგანან და ისეთივე მგზავრები არიან, როგორც შენა თქო, და მე არავის ვაძლევ იმის ნებასა, რომ ჩემს ადგილიდგან უ... ნოდ ვინმე განდევნოსო. თუ სურ... მეც აქ ვიქნები, თითონ მობძანდ... და თითონ გარეკოს ბოშებიო. ... გაბრაზდა განსვენებული, რომ მართლა გამოსულიყო გენერალი, ... დი ლაპარაკი და აურ-ზაური მოხდ... ბოდა.

ამავე წელს სოფ. გერგეტში ფერიცვალება დღეს, ჩაბმულიყო ფერხულში განსვენებული თეთრ-წვერა ალექსანდრე და თითონ მღეროდა ლექსსა არაგველებისას. შემცდარი იქნებიან, ძვირფასო მოღვაწევ, ვინც იტყვიან სიკვდილსა შენსა! არა, ... არა ხარ მკვდარი! ცოცხალი ხარ ... დიდებული, რამეთუ საქმენი შე... უკვდავ არიან მარადის.

ა. კობაი...

## დამაკვირდი

ადამიანი განვითარებას დაბადებიდ... იწყებს: ჯერ არაფრის შეგნება და გ...

---

ჩემ სახსოვრად ატარეო!“..
ამ გვარ ქცევით მთელი ერი
და ამალა მეფის ძისა
განცვიფრდა და ყველაფერი
მოახსენეს მამა მისსა:
„დიდო მეფევ! თქვენი შვილი,
როს საჩუქრებს არიგებდა,
ჩვეულებრივ დაღვრემილი
იყო და ხმას არ იღებდა,
მაგრამ, როგორც სუპრაბუდდის
ტურფა ასულს მოჰკრა თვალი,—
იმის შუბლზე წმიდა გრძნობის
აღიბეჭდა საღმრთო ძალი!
მათი ტრფობა, გულის ძგერა
სწორედ ჰგავდა ნეტარებას,
ვერ უდრიდა ქვეყნად ვერა
ძალი მათ თვალთ ძლიერებას;
ვამომთქმელი სიხარულის
სხივი ადგათ საკვირველი!...
ტურფას, ნიშნად სიხარულის,
მან მიართვა ყელ-საბელი*...
გადურბინა მეფეს ღიმმა
და სიამით დასცხრა გულით,
ამა ამბით კმაყოფილმა
დაიძახა სიხარულით:
მიხარიან, რომ მოვნახე
ვარდი ძვირად სანახავი,
მოვიპოვე ძლივს-ძლივს მახე
ჩემის შვილის შემბორკავი!
მჯერა, რომ აწ შევარდენი
შეეჩვევა ამ არესა
და ღრუბლებში დინჯად მფრენი
ნუგეშსა მცემს მწუხარესა;
აწ განდეგილ ცხოვრებასა
მიატოვებს, დაიტკბობს გულს,
ნორჩის გულის კვეთებასა
შესწირავს მთლად ტურფა ასულს...»
მაგრამ, რადგან იქ კანონად
ცნობდნენ, სდევდნენ იმ წესსა ძველს,
რომა სასძლო იმას ცოლად
გაჰყვებოდა, ვინც რომ ყოველს
სძლევდა, ყველას აჯობებდა,
სიმხნით, ჰკუით, ყოველ გვარად,
ღირსეულად ვარდს დაჰკრეფდა
სარტფოს გულში გასახარად,—
სუპრაბუდდამ მოციქულსა
უპასუხა: „ჩემს დიდებას
და ჩემს ნუგეშს, ჩემს ასულსა
მივათხოვებ მხოლოდ იმას,
ვინც რომ უკეთ ქვეყანაზედ
მოიზიდავს მშვილდ-ისარსა,
ვინც რომ შუბსა სუყველაზედ
უმჯობესად მოიხმარსა!
ვინც ჩაუქად ფიცხს მერანსა
მოახტება, მოარჯულებს,
ვინც იქმს საქმეს საგმიროსა,
ქვეყანასა გააკვირებს!..
თუ სიდართჰა ყველა ამას
შეიძლებს და მოსდევს ძალი,
სიხარულით მივსცემ ნებას,
რომ შეირთოს ჩემი ქალი.
მაგრამ ამას ის რით შესძლებს,
თუ-კი არის განდეგილი,
მხნე მოცილეთ როგორ დასძლევს
უძლო და დაღვრემილი!..
ამ პასუხმა დაალონა
ძალზედ მეტად მეფის გული
და იფიქრა: რამ აგონა
ნეტა ჩემს შვილს, რომ ასული
უბადალო, მზისა მგზავსი
და გმირობით სასყიდელი,
გამოძებნა, არც სცნო ფასი,
სთხოვა ისე მხიბლავს ხელი?!
ვით შეებრძვის დეკალატას,
უმჯობესსა მეისრესა;
ან მარდს, ჩაუქს, მხნე ანჟუნას
მხედარს პირველს, საკვირველსა?
ან-და ნანდას, ამა ქვეყნად
ვაჟკაცთ შორის ძვირფასს თვალ...
რომელიცა უმჯობესად
ჰხმარობს დროზედ შუბს და ფარს
სიდართჰამან ჩაიცინა,
უთხრა მეფეს, უალერსა:
„მამავ! რამან შეგაშინა,
რისთვის გხედავ მწუხარესა?
ვერ დამძლევენ მოცილენი,
იგი ვარდი მე დამრჩება,
დამიტკბება მაშინ დღენი,
შენი ნატვრა აღსრულდება!..“

გრ. აბა...

(შემდეგი იქნება)

ბა აქვს ყმაწვილს, რომ უკვე სწავლობს. გამოცდილება განვითარებას წინ უძღვის.

ჟ. ჟ. რუსსო

**

ის აზრი, რომელიც ათობით და ოცობით ებადება ადამიანს თავში, ყოველსავე ღირსებას მოკლებულია. კარგი აზრი ასე გულ-უხვი არ არის. დიადი აზრი მხოლოდ ობლად მოევლინება ხოლმე ადამიანს.

მარია ებნერ-ეშენბახი

**

ვინც თავის სიცოცხლეს ისე ატარებს, რომ სიამოვნებას მოკლებულია და კეთილს არას ჩადის-რა, ის არა სცხოვრობს, თუნდა ისევე ჰსუნთქავდეს, როგორც მჭედლის საბერველი.

ინდოთა თქმულება

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** ცნობილმა მწერალმა ფელიქს ლაკაზმა დაჰბეჭდა ერთს გაზეთში წერილი შემდეგის სათაურით: ,,ვისწავლოთ ცნობა ერთმანერთისა''. ავტორი წერილისა ამბობს: საჭიროა საფრანგეთი და გერმანია ერთმანერთს მოურიგდნენო.

ეჭვი არ არისო, ამბობს სხვათა შორის ლაკაზი, მთელ ისტორიაში სწორედ რომ საკვირველი სანახავი სურათია საფრანგეთისა და გერმანიის დამოკიდებულება. ევროპის ორი განათლებული სახელმწიფო მუდამ ერთმანერთს ემუქრება და ამით აფიქრებს და აშფოთებს მთელს ევროპასა. ჩვენში დაიბადა სოციალიზმი, რომელიც გადაიქცა ანარქიზმად და რომელსაც ჩვენ ეხლა უარვყოფთ. სოციალიზმის მოძღვრების განხორციელება მეტად შეაფერხა საფრანგეთისა და გერმანიის უთანხმოებამ. საფრანგეთი და გერმანია რომ მორიგდნენ, ძლიერ ადვილი შეიქმნებოდა ამ ორ სახელმწიფოში მუშათა საქმის განხორციელება. ამ ორ სახელმწიფოს მორიგება მთელს ევროპას დაიხსნიდა განსაცდელისაგან.

ამ მორიგებისთვის საჭიროა, რომ ფრანგებმა და გერმანელებმა კარგად და დაახლოვებით გაიცნონ ერთმანერთი. ყოფილა კიდეც გასულს წელს ასეთი რამდენიმე შემთხვევა. სენტ-ეილეში, მაგალითად, როცა მიწას მიაბარეს ნაშთი გერმანელ ჯარის კაცთა. შემდეგ მაკ-მაჰონის დასაფლავების დროს და აგრეთვე გერმანიის სასამართლოში, როცა გერმანიის მეზღვაურთ ხელი ჩამოართვეს საფრანგეთის მეზღვაურთა.

—

**ინგლისი.** ინგლისის ერთს გაზეთში დაბეჭდილია წერილი სათაურით: „მომავალი ომი“. წერილის ავტორი ამბობს, სულ მოკლე ხანში საფრანგეთსა და ინგლისს შორის ომი უნდა მოხდესო.

—

**გერმანია.** ბერლინში ახალ წელიწად დღეს სასახლეში იმპერატორი ვილჰელმი და იმპერატრიცა ავგუსტა კანცლერის კაპრივის შემოსვლის დროს ოთახში, ფეხზედ წამოდგნენ, ხელი ჩამოართვეს კაპრივს და საზოგადოდ დიდის სიხარულით მიეგებნენ. მიუხედავად ამისა გრაფ კაპრივისა და პრუსიელ მინისტრთა შორის უთანხმოება არ მოისპო და ხმა დადის, რომ გრაფი ეილენბურგი სამსახურიდგან გადადგება, რადგანაც არ უნდა კანცლერს აწყენინოს და აგრარიების დასის კონსერვატორებს წაეჩხუბოს. თუ ვინიცობაა გრაფი ეილენბერგი სამსახურიდგან გადადგა, პრუსიის მინისტრთა საბჭოს პრეზიდენტის ადგილს გრაფ კაპრივის ჩააბარებენო.

—

**ავსტრი-უნგრეთი.** წელს ავსტრი-უნგრეთში დიდი კამათობა ჰქონდათ სლავიანებსა და გერმანელთ შესახებ იმისა, რა ენაზედ უნდა იყოს დაწერილი ფიცრებზედ ქუჩების სახელი. მიზეზად ამ კამათობისა შემდეგი ამბავი გახდა. ლიუბლიანის ქალაქის საბჭომ გადასწყვიტა, ქუჩების სახელები სლავიანურ ენაზედ უნდა იყოს დაწერილიო. ლიუბლიანის მცხოვრებ გერმანელთ მიჰმართეს კრაინის მმართველობას და სთხოვეს ქალაქ ლიუბლიანის გარდაწყვეტილება გაუქმებულ იქმნასო. კრაინის მმართველობამ მართლა გააუქმა ეს გარდაწყვეტილება. მაშინ ლიუბლიანის ქალაქის საბჭომ ამ საქმის შესახებ საჩივარი ვენის სასამართლოში გადიტანა და მან დაამტკიცა ლიუბლიანის ქალაქის საბჭოს გარდაწყვეტილება და თანაც დასძინა, ქალაქის საბჭოს სრული უფლება აქვს რა ენაზედაც უნდა, ისე დააწეროს ფიცრებზედ ქუჩების სახელები. ჰფიქრობენ ამიტომ, რომ პრაგაშიაც ამიერიდგან ქუჩების სახელები ჩეხურ ენაზედ იქმნება დაწერილიო.

## ბიბლიოგრაფია

—

წიგნი სიბრძნე-სიცრუვისა, საბა-სულხან ორბელიანისა, სხვა-და-სხვა ხელთ-ნაწერებთან ახლად შედარებული და გამართული ნ. მთვარელიშვილის მიერ. ქართველთა ამხანაგობის გამოცემა.

ამ ახალს წიგნს როგორც თქვენ თითონ შეჰნიშნავდით მისის სათაურიდგან, ორი დიდი განსხვავება აქვს სხვა, წინად გამოცემულ „სიბრძნე-სიცრუვის“ წიგნთან. პირველი ის არის, რომ იგი გამოცემულია ქართველთა წიგნების გამომცემელ ამხანაგობისაგან და მაშასადამე, გამომცემის მხრივ წიგნი იქმნება დაბეჭდილი სუფთად და ღირსეულად, სწორედ ისე, როგორც შეეფერება თვით ღირსეულსა და დარბაისელს ამხანაგობას; საეჭვოდ უნდა ჩაითვალოს მხოლოდ მისი მეორე ცვლილება: წიგნი გამართულია ბ-ნ ნ. მთვარელიშვილის მიერ. აქაც, რასაკვირველია, ბ-ნ მთვარელიშვილის გამმართველობა (რედაქტორობა თუ) კი არა გვგონია საეჭვო, არამედ ის გარემოება, თუ რამდენად გააუმჯობესებდა ეს მისი გამმართველობა ამ ახალ გამოცემას. აი გავშინჯოთ აქ:

ა) უწინ „სიბრძნე-სიცრუვის“ წიგნი გაბმით იბეჭდებოდაო, მოგვითხრობს გამმართველი თავის უკანა სიტყვაობაში, და ეხლა-კი ჩვენ იგი დავყავით ნაწილ-ნაწილად და ყოველ ნაწილს ჩვენებური სახელიც ზედ დავანათლეთო და რამ გამოიწვიაო ყოველივე ეს? იმანაო, ჰბრძანებს თვითვე შემდეგ, რომ ,,სიბრძნე-სიცრუვის'' წიგნი ძნელი საკითხი იყო და ეხლა ჩვენ გავაადვილეთო. არ გვესმის ჩვენ ასეთი გაადვილება. წარმოიდგინეთ, ბ-ნო გამმართველო ,,სიბრძნე-სიცრუვისაო'', რომ ჩვენ უმაგისოდაც ძალიან ადვილ საკითხავად მიგვაჩნდა და იქმნება ერთის მხრივ სწორედ მაგ თქვენმა გამმართველობამ უფრო კიდეც გაძნელა მაგ ადვილის წიგნის კითხვა. ან-კი ვისთვის იყო საჭირო ეგ გაადვილება?! აკი ცალკე წიგნადაც გამოსცა ყმაწვილებისთვის იმავე ქართველმა ამხანაგობამ მანდედგან ამოკრებილი არაკები და ეს ვრცელი გამოცემა მხოლოდ ჩვენთვის იყო საჭირო. ჩვენ ისე ვკითხულობდით, როგორც ერთს მთლიანს ამბავს თავიდგან ბოლომდე. ხოლო ყოველს იქ მოლაპარაკეს მოჰყავს სიტყვასა და სიტყვას შუა რაიმე არაკი თავისის სიტყვის დასასაბუთებლად, როგორც ამას მოითხოვს რიგი და წესი ჩვენებურის (აზიურის) მწერლობისა. რა არის აქ ძნელი და ადვილი გასაგები?

ბ) წიგნის ბოლოში დართული აქვს ერთი ციდა ლექსიკონი, ისიც სრულიად შეუმუშავებელი. ,,ჭანდრაკის მღერა—სახლი მენარდეთა, სამორინეო''. ჩვენში ჭანდრაკის მღერა ჭანდრაკის თამაშობასა ჰქვიან და არა სახლს. ან რა ხელი ჰქონდა აქ მენარდეს სახლს? რომ ვთქვათ—სახლი მეჭანდრაკეთაო, მაშინ კიდევ ჰო, ვიტყოდით, ჯანი გავარდეს, ჭანდრაკზედ არის ხომ ისევ ლაპარაკიო და ეხლა-კი ჰნებავთ დაგვარწმუნონ, რომ ჭანდრაკის მღერა ჰქვიან იმ სახლს, სადაც ნარდსა თამაშობენო.

,,ტერფი—ფეხის გულიაო''. ტერფი, რომ მოვახსენოთ, იმავე ,,სიბრძნე-სიცრუვის'' დამწერის სიტყვით, ჰქვიან „ფეხის ქვევით სიბრტყეს (იხ. ლექსიკონი საბა ორბელიანისა), ისევე როგორც ნები ეწოდება ხელის შიგნით სიბრტყეს. ფეხის გული და ხელის გული-კი სულ სხვაა. ფეხის გული ჰქვიან მხოლოდ ნაწილს ტერფისას (რაც ქუსლსა და თითებ შუაა) და ტერფი-კი მთელს სიბრტყეს, ანუ მთელს ქვევითა პირს ფეხისას...

,,ნუწლი—არაბ. ძღვენი, საზრდო, საგძალი''. ეხლა აღარ მესმის სრულიად, თუ რა აზრი აქვს ამ სიტყვას,—იგივე რაც ძღვენს, რაც საზრდოს, თუ რაც საგძალს? თუ სამივე ამ სიტყვების აზრი გამოიხატება ერთად ერთსა და იმავე დროს? მე-კი ვიცი მხოლოდ, რომ ამ სამსავე სიტყვას სულ სხვა-და-სხვა აზრი აქვს: ძღვენი ვერ გასწევს საზრდოს მაგიერობას და საგძალი ძღვნობას. მაგრამ შევწყვიტოთ აქ ამ ლექსიკონზედ ლაპარაკი, თორემ ძალიან შორს წაგვიყვანს.

გ) წიგნს სულ ბოლოში მიწებებული აქვს ერთი წერილი, რომელსაც არ ვიცით რა ვუწოდოთ: ბიოგრაფია საბასი, თუ უკანა სიტყვაობა გამმართველისა, ბ-ნ ნ. მთვარელიშვილისა. ეს-კი ცხადია, რომ ამ წერილში საკმარისი შეცდომები შეჰპარვია ბ-ნს გამმართველს. აი მაგალითად, პირველსავე გვერდზედ როგორ განმარტავს იგი საბას ვინაობას: „სულხან საბა იყო მეფეთა არჩილ II და გიორგი XI და ბატონის ლეონის დედის ძმის წული, ძე საქართველოს მსაჯულ-პატრონის ყაფლან ორბელიანისაო“. ხომ გაიგეთ ბატონებო! ყაფლან ორბელიანის და ყოფილა დედა არჩილისა, გიორგისა და ლევანისა და ამ ბატონიშვილებს, რასაკვირველია, დედის ძმისწულად მოჰხვდებოდათო ყაფლანის შვილი საბა. მაგრამ აბა ახლა ჩავყვეთ კიდევ ქვევით: „ყაფლანს, ვაჟებს გარდა, ჰყავდა ასული როდამი, პირველი მეუღლე ვახტანგ V შაჰნავაზისა. როდამთან ვახტანგს ჰყავდა ექვსი ვაჟი და ორი ქალი, რომელთაგან (ქალთაგან თუ?) წარჩინებულნი იყვნენ ზემოდ დასახელებულნი მეფენი არჩილ, გიორგი და ბატონიშვილი ლევან“. აბა ეხლა აირია აი, მონასტერი! ყაფლანსა ჰყავდა ვაჟი საბა, ყაფლანსა ჰყავს ქალი როდამი; როდამი გახდა ვახტანგის ცოლი და ეყოლა შვილები, არჩილ, გიორგი და ლევან. რა გამოდის ამათი საბა? რასაკვირველია ბიძა და არა დედის ძმისწული. ახლა რომელია ამათში ნამდვილი და რომელი შეცდომა, უნდა ვკითხოთ თვით გამმართველს. რისაგანა ხდება ესეთი შეცდომები? რასაკვირველია, ჩვენის დაუდევრობისა და უზრუნველობისაგან. ჩვენ-კი გვეგონა, რომ ბ-ნი მთავრიშვილი უფრო გულ-დადებით უნდა მოჰპყრობოდა ამ საქმეს, მით უმეტეს, რომ ეს საქმე ჩაბარებული ჰქონდა ისეთის თანაგრძნობის ღირსის საზოგადოებისაგან, როგორიც არის დღეს „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ აქვე კიდევ ერთი მაგალითი. ამ რამდენისამე წლის წინად იყო „ივერიაში“, როგორც მახსოვს, ერთი წერილი ჭიჭინაძესი, სადაც იგი ამბობდა, რომ სულხან-საბა ორბელიანს დაჰრჩა კიდევ ერთი ხელთ-ნაწერი სახელად „სწავლათა კიდობანი“ თუ „სიბრძნის კიდობანი“-ო, აღარ მახსოვს კარგად, და რომ ეს ხელთ-ნაწერი არსებობდა, ამაზედ სარწმუნო ბრძანდებოდეს ბ-ნი მთვარელიშვილი. მე თვით მინახავს ეს წიგნი ზაქარია ჭიჭინაძის ხელში. ეს წიგნი წარმოადგენდა ერთ კაი სქელ რვეულს თაბახიან ქაღალდისას და შეიცავდა სულ წვრილ-წვრილ არაკებს, ერთმანერთთან შეუკავშირებელს. ვიცი აგრეთვე, რომ მან ეს წიგნი ათხოვა ერთ ახალგაზდა მასწავლებელს, რომელიც იმ დროს რაღაც ქრისტომატიას ადგენდა. ვიცი აგრეთვე ისიც, რომ დღესაც რო შეჰხვდეთ ზ. ჭიჭინაძესა და ჩამოუგდოთ ამის შესახებ ლაპარაკი, შემოგჩივლებს; რა ვქმნა, შენიჭირიმე, კაცს ხელთ ნაწერი ვათხოვე და დღემდე არ მიბრუნებენო. არ ვიცით რატომ არ მოიხსენა „სიბრძნე-სიცრუვის“ გამმართველმა ეს ხელთ ნაწერიც იქ, სადაც ჩამოთვლილი აქვს მას ყველა სალიტერატურო შრომა საბა-ორბელიანისა?!

ღრიანკელი

## გასართობი

ერთი მდიდარი კაცი მუდამ სცდილობდა, ყოველგვარი სურვილი და გულის წადილი თავის სატრფოსი აესრულებინა. რასაც-კი თვალს მოჰკრავდა სატრფო, მის არშიყს მდიდარ კაცს უეჭველად უნდა ეყიდნა ის ნივთი და მიერთმია. ერთხელ ტურფა ვარსკლავებს დააცქერდა. არშიყმა უთხრა: ნუ უყურებ, გენაცვალე, მაგ ვარსკლავებს, ღმერთს გეფიციცები, ვერ გიყიდიო.

—

ერთმა ახალგაზდა კაცმა სთქვა:

—მე ისე მიყვარს ჩემი ცოლი, ისე გულმხურვალედ ვკოცნი ხოლმე, რომ ლამის შევჭამოო.

ათის წლის შემდეგა ჰკითხეს: ეხლა რაღას იტყვი შენ ცოლზედ?

ქმარმა უპასუხა.

—რომ მომაგონდება, როგორა ვკოცნიდი ჩემს ცოლს ამ ათის წლის წინად, ძლიერა ვნანობ, რატომ მაშინვე არ შევჭამე.

—

ერთმა კაცმა თავის ამხანაგს რაღაც საიდუმლო ამბავი უთხრა და თან დასძინა: შენ ეს ამბავი არავის გაუმჟღავნოო. მეგობარმა უპასუხა:

—ნუ გეშინიან, მეც შენსავით კარგად ვიცი საიდუმლოს შენახვაო.

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

პეშტიდგან იუწყებიან, რომ ცნობილ მწერალ იოკაის იუბილეის გამო ათასამდე მილოცვის დეპეშა და წერილი მისვლია და მრავალი საჩუქარი. გარდა ამისა იოკაის ნიჭის პატივისმცემელთ 100 ათასი გულდენი შეუკრებიათ მის თხზულებათა გამოსაცემად.

—

უცხოეთის გაზეთები ყველანი უღოცავენ გლადსტონს მის 84 წლის შესრულებას. ზოგიერთ გაზეთებში აწერილია გლადსტონის კაბინეტი. ამ კაბინეტში სხვათა შორის ერთი ხეც არის, რომელიც გლადსტონს ძლიერ უყვარდა. ეს ხე ქარიშხალს წაუქცევია. გლადსტონის ბიბლიოტეკას ეტყობა, რომ თუმცა ძლიერ უყვარს ჰომიროსისა და დანტეს თხზულებანი, მაგრამ სხვა წიგნების კითხვასაც არ იკლებს. ერთს სტოლზედ აწყვია საყურადღებო წერილები და ხელთ-ნაწერები. ერთს ყუთს წერილების სავსეს ზედ აწერია გლადსტონის ხელით; „საიდუმლო წერილები შესახებ ირლანდიის ეკკლესიისა“. მორეში აწყვია „ლექსები“ გლადსტონის მიერ დაწერილი ახალგაზდობის დროს. ცალკე დაწყობილი წერილები შესახებ გლადსტონის ოჯახობისა. ბუხრის თავზედ სდგას მაცხოვრის ქანდაკება, ტორვალდსენის მიერ გაკეთებული. კედელზედ ჩამოკიდებულია რამდენიმე სურათი დედოფლის ვიქტორიისა.

კაბინეტშივეა აგრეთვე ქანდაკება განსვენებულის დიზრაელისა, რომელიც ოდესღაც დიდს წინააღმდეგობას უწევდა გლადსტონს საპოლიტიკო ასპარეზზედ. კაბინეტის კუთხეში ჰყრია ცულები, ჯოხები და ძველი წვიმის ქოლგა. საზოგადოდ გავარდნის სასახლე, რომელშიაც გლადსტონი სცხოვრობს, ძლიერ სადად არის მოწყობილი.

—

გლასტონს 17 დეკემბერს შეუსრულდა 84 წელი. როცა ამ დღეს გლადსტონი საზოგადოებათა პალატაში შევიდა, გაისმა ხანგრძლივი „ვაშას“ ძახილი და ტაშისცემა. ყველაზე მომეტებულ სიხარულით გლადსტონს ირლანდიელები მიეგებნენ. უცხოელ გაზეთებში ყურადღებას აქცევენ იმ გარემოებას, რომ ინგლისის არც ერთი მინისტრი არ მოურიდა სამსახურში ყოფნის დროს გლადსტონის ხანადაო. ლორდი პალმერსტონი 91 წლისა გარდაიცვალა, ლორდებმა სიდმუსმა და როსსელმა 86 წლამდე იცოცხლეს, მაგრამ ყველა ამათ სამსახურს გაცილებით ადრე დაანებეს თავი. გლადსტონი უკვე ხაზინის ლორდად იყო, როცა ბალფური და ჩემბერლენი ჯერ დაბადებულნი არც-კი იყვნენ. გლადსტონი თავის კაბინეტის ყველა წევრთ მამად შეეფერება, ხოლო შინაგან საქმეთა მინისტრს ასკვიტსა და გარეშე საქმეთა მინისტრს ლორდ როზბერისპაპადაც-კი. გლადსტონმა რომ პირველად სიტყვა წარმოსთქვა, მას აქეთ სწორედ სამოცი წელი შესრულდა და ეხლა მეოთხედ არის პრემიერად.

—

ათი წელიწადია მას შემდეგ, რაც პარიჟში დაარსდა ღარიბთათვის უსარგებლოდ ფულის გამსესხებელი საზოგადოება. საზოგადოება ღარიბ ხალხს გაჭირვების დროს ფულს აძლევს უსარგებლოდ 12 თვის ვადით, რომელსამე

სანდო კაცის თავდებობით. ათის წლის განმავლობაში საზოგადოებას 5,445 ოჯახობისათვის მიუცია სესხად ფული, სულ 426,806 ფრანკი. ამ ფულიდგან საზოგადოებისთვის სესხი დაუბრუნებია 4,636 ოჯახობას, სულ 392,364 ფრანკი. გადაუხდელი დარჩა მხოლოდ 12,796 ფრანკი. როგორცა სჩანს ვალის გადახდაში ღარიბი ხალხი უფრო პირნათლად იქცევა, ვიდრე მდიდრები.

## გამოსადეგი ცნობა

—

საშუალება კრაზანის ნაკბენის წინააღმდეგ. აი ერთი უბრალო საშუალება კრაზანას ნაკბენის დასაამებლად. იმ ადგილას, სადაც კრაზანამ გიკბინათ, უნდა დაიდოთ ტილო, იმ ლილაში დასველებული, რომელსაც ჩვეულებრივ სარეცხს გაავლებენ ხოლმე. ტკივილი სწრაფად დაუყუჩდება და საჭიროც აღარ იქმნება ნაკბენ ადგილიდგან კრაზანას ისრის ამოღება.

# დეპეშა

31 დეკემბერი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა 1894 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. ჩვეულებრივი შემოსავალია 1,004,823,275 მან. არა ჩვეულებრივი 19,764,940 მან. 1891 წლის სესხის რეალიზაციისაგან დარჩება 59,013,309 მან. ჩვეულებრივი გასავალი იქმნება 981, 222, 950 მან. არა ჩვეულებრივი, რკინის გზებისა და ნავთსადგურების გასაკეთებლად 65, 293, 701 მან. ჯარების შესაიარაღებლადა და სურსათისთვის 35, 700, 000 მან. ციმბირის რკინის გზის გაკეთების დასახმარებლად 1, 384, 875 მან., 1893 წლის ხარჯთ-აღრიცხვასთან შედარებით 1894 წელს ჩვეულებრივი შემოსავალი მეტია 43, 601, 134 მანათით, ჩვეულებრივი გასავალი მეტია 33, 532, 565 მანათით მიუხედავად იმისა, რომ 1894 წელს გასავალი უფრო მეტია, ჩვეულებრივ შემოსავალიდგან დარჩება 23, 6 მილიონი მანათი, რომელიც დაჰფარავს არა ჩვეულებრივ გასავალს. სახელმწიფო ხაზინას საკმაოდ აქვს ფული ყოველის ხარჯის გასასტუმრებლად და ამიტომ 1894 წელს სახელმწიფო არავითარ სესხს არ მიჰმართავს.

სახელმწიფო საბჭომ მოიწონა კანონ-პროექტი შესახებ ქარხნების ზედამხედველ ინსპექციის დაარსებისა.

ფინანსთა სამინისტრო სპარსეთსა ჰგზავნის მოხელეს ტომარს საბაჟო საქმეთა შესახებ მოსალაპარაკებლად.

სამკურნალო კრებამ გადასწყვიტა იშუამდგომლოს წინაშე მთავრობისა, რათა შეცვლილ იქმნას წესდება სამხედრო ბეგარისა და განხილულ იქმნას აგრეთვე სია იმ ავადმყოფობისა, რომლის ძალითაც ანთავისუფლებენ სამხედრო ბეგარისაგან.

2 იანვარი.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭო მალე განიხილავს პროექტს დედათა გიმნაზიებისა და საერო განათლების საპროფესიონალო სკოლებისას.

იუსტიციის მინისტრი მანასეინი ავადმყოფობისა გამო დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან, დანიშნულ იქმნა სახელმწიფო საბჭოს წევრად და ებოძა ორდენი წმ. ალექსანდრე ნეველისა ბრილიანტებით შემკული; სახელმწიფოს მდივანი მურავიევი დანიშნულ იქმნა იუსტიციის სამინისტროს მმართველად; შინაგან საქმეთა მინისტრის თანაშემწე პლევე დანიშნულ იქმნა სახელმწიფოს მდივნად. ებოძათ ორდენები: მინისტრებს: საერო განათლების მინისტრს დელიანოვს წმ. ანდრია პირველ წოდებულის ორდენი ბრილიანტებით; გარეშე საქმეთა მინისტრს გირსს — წმ. ანდრია პირველ-წოდებულისა; სასახლის მინისტრს ვორონცოვ-დაშკოვს—წმ ვლადიმერის ორდენი 1 ხარისხისა; შინაგან საქმეთა მინისტრს დურნოვოს—წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი ბრილიანტებით, სახელმწიფო საბჭოს წევრს უბრის—წმ. ანდრია პირველ-წოდებულისა; საკანონმდებლო დეპარტამენტის თავმჯდომარეს ოსტროვსკის—წმ. ვლადიმერის ორდენი 1 ხარისხისა, სახელმწიფო კონტროლერს ფილიპოვს და საერო განათლების მინისტრის თანაშემწეს თავ. ბოლკონსკის — წმ. ალექსანდრე-ნეველის ორდენი ბრილიანტებით; იმპერატრიცა მარიამის დაწესებულებათა მის უდიდებულესობის საკუთარ კანცელარიის მთავარ-მმართველს პროტასოვ - ბახმეტიევს—წმ. ალექსანდრე ნეველისა; ფინლანდიის დიდ სამთავროს მინისტრს —ორდენი თეთრის არწივისა, სახელმწიფო ქონებათა მინისტრს ერმოლოვს და გზათა მინისტრს კრივოშეინს წმ. ვლადიმირის ორდენი 2 ხარისხისა; ფინანსთა მინისტრს ვიტტეს—წმ. ანნას ორდენი 1 ხარისხისა.

უწმინდესი სინოდის ობერ-პროკურორს პობედონოსცევს ებოძა სტატს-სეკრეტრობა. სახელწიფო ქონებათა სამინისტროს მმართველი ერმალოვი დამტკიცებულ იქმნა სახელმწიფო ქონებათა მინისტრად.

**პალერმო.** დღეს დილით გამოცხადდა ბძანება, რომლის ძალითაც აკრძალულ იქმნა იარაღის ტარება და სიცილიაში ყოველ გვარ სასროლ იარაღის შეტანა; ყველა მოქალაქეთ ებძანათ იარაღი ჩააბარონ ადგილობრივ პოლიციას.

პეტერბურგის ბირჟა, 30 დეკემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7,49 | 7,51 | — ,, |
| ტრამოყნის კუპონები | 149 1/2 | 150 1/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 246 1/2 |
| —მეორისა . . . . | | — ,, | 225 1/2 |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 192 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | 100 3/4 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 98 | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 100 3/4 | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . | 98 | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97 3/4 | — ,, | — ,, |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. საღ. და № 3 12 ს. 25 წ. დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. საღ.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე-გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: საღ. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


## განცხადებანი

კბილის ექიმი

**ა. ი. ორბელი**

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—144)

ავჭალის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, საგინოვის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით პადვალი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. ფასი ეკითხოს „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს. (10—10)

ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ

ЗУБНЫЯ СРЕДСТВА

ЗУБНАГО ВРАЧА

АДЕЛЬГЕЙМЪ

МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ

СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ

ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

Открыта подписка на 1894 г. на газету

# „ТИФЛИССКІЙ ЛИСТОКЪ“

Газета будетъ выходить при прежнемъ составѣ редакціи, ежедневно, исключая дней послѣпраздничныхъ, въ форматѣ средняго газетнаго листа въ пять колоннъ.

Программа газеты: телеграммы, мѣстная хроника, корреспонденціи, иностранная хроника, фельетоны, разсказы и повѣсти, отчеты думскихъ, ученыхъ и другихъ общественныхъ засѣданій судебная хроника и торговая хроника.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА:

| Въ Тифлисѣ: | для иногородныхъ: |
|---|---|
| Съ доставкой на городъ, 5 р.—к | Съ пересылкой на годъ 6 р.—к. |
| „ „ „ полгода. 3 „— „ | „ „ „ полгода 3 „ 50 „ |
| „ „ „ 3 мѣс. 1 „ 75 „ | „ „ „ 3 мѣс. 2 „ — „ |
| „ „ „ 1 мѣс. — „ 75 „ | |

Подписка принимается исключительно въ конторѣ «Тифлисскаго Листка» (Тифлисъ, Головинскій проспектъ, д. Ротинова, № 3).

За подписку въ другихъ мѣстахъ контора редакціи не принимаетъ на себя никакой отвѣтственности. (3—3)

ОТКРЫТА ПОДПИСКА НА 1894 ГОДЪ.

(Сорокъ девятый годъ изданія).

# „КАВКАЗЪ“.

Редакторъ-издатель Ю. Н. МИЛЮТИНЪ.

Подписня цѣна:

| | Городская. | Иногородская. | Заграничная. |
|---|---|---|---|
| Ян. 12 мѣсяцевъ | 11 р. 50 к. | 13 руб. | 18 р. 40 к. |
| „ 11 „ | 11 „ — „ | 12 „ | — „ |
| „ 10 „ | 10 „ — „ | 11 „ | — „ |
| „ 9 › | 9 „ — „ | 10 „ | — „ |
| „ 8 „ | 8 „ — › | 9 „ | — › |
| „ 7 „ | 7 „ — „ | 8 „ | — „ |
| „ 6 › | 6 › — › | 7 „ | 10 „ |
| „ 5 я | 5 „ — „ | 6 „ | — › |
| „ 4 мѣсяца | 4 › 50 „ | 5 „ | — „ |
| „ 3 | 3 „ 50 „ | 4 „ | 6 „ |
| „ 2 | 2 „ 50 „ | 3 „ | — „ |
| „ 1 мѣсяцъ | 1 „ 50 „ | 1 „ 75 к. | 2 „ |

Подписка принимается съ перваго числа каждаго мѣсяца на всѣ сроки отъ однаго до двѣнадцати мѣсяцевъ.

Желающіе подписаться съ разсрочкою вносятъ 3 р. при подпискѣ и по 1 р. къ первому числу каждаго послѣдующаго мѣсяца до погашенія всего причитающагося платежа.

**Плата за объявленія** (со строки петита или занимаемаго ею мѣста); **на послѣднихъ страницахъ**: съ мѣстныхъ объявленій (кавказскихъ)—6 коп., съ прочихъ—10 коп., за каждый разъ. **На первыхъ страницахъ** вдвое. За большія или многократныя объявленія по соглашенію. За разсылку особыхъ приложеній 8 рублей съ тысячи.

**Подписка и объявленія принимаются въ конторѣ „КАВКАЗА“ Тифлисъ,** Дворцовая улица, домъ Тифл. Двор. Зем. Банка.



**Въ Б. Жуковскій** С.-Петербургъ 10. рота, 16.

უმთავრესი წარმომადგენელი წისქვილის თვლების ფაბრიკისა ე. ტრაპპისა.

ტრაპპის ფაბრიკის მიერ ბოგემიაში გაკეთებული წისქვილის თვლები საუცხოვო გამოდგა. ამ თვლებით სამჯერ უფრო მეტი იფქვის, ვიდრე სხვა ფაბრიკის გაკეთებულ თვლებით, 8 საათის განმავლობაში ფქვავს 600 (ექვსას) ფუთს.

Ревель **А. Брокгаузенъ**

პრეისკურანტები და სხვა და სხვა დამარწმუნებელი ქაღალდები სურველს საჩქაროდ გაეგზავნება.



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ 10, рота, 16.